აწმყო და წარსულის გაკვეთილები

ინოვაციებისა და სამოქალაქო
განვითარების ცენტრი
“პროგრესის სახლი“

საგაზეთო ჩანართი №1, 2026 წ.

თქვენ წინაშეა საგაზეთო ჩანართი, რომელიც მომზადებულია პროექტის – **“მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება დემოკრატიული პროცესების მხარდასაჭერად“** ფარგლებში. პროექტს ახორციელებს **ოზურგეთის ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი – პროგრესის სახლი.**

გამოცემაში პერიოდულად წარმოგიდგენთ პუბლიკაციებს, სხვადასხვა დროსა და სივრცეში შექმნილ ნაშრომებს სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიული ღირებულებების შესახებ. ჩვენი მიზანია, მკითხველს წარმოვუდგინოთ ქართველი და უცხოელი ავტორების მოსაზრებები სამოქალაქო ფასეულობების როლსა და მნიშვნელობაზე

პროექტის გუნდი.

ეუთოს 24-მა ქვეყანამ საქართველოზე „მოსკოვის მექანიზმი“ აამოქმედა

რადიო თავისუფლება

2026 წლის 29 იანვარს, ეუთოს 24-მა წევრმა სახელმწიფომ „მოსკოვის მექანიზმი“ აამოქმედა. მათი წარმომადგენლები იწყებენ „საექსპერტო მისიას“ საქართველოში, რათა შეაფასონ ადამიანის უფლებათა მდგომარეობის გაუარესება. ეს იქნება „ფაქტების დამდგენი მისია“, რომელიც შეაფასებს საქართველოს მიერ ეუთოს ვალდებულებების შესრულებას, 2024 წლის გაზაფხულის შემდეგ განვითარებულ მოვლენებზე ფოკუსით.

უფლებადამცველების შეფასებით, ეს ნიშნავს, რომ ეუთოს ქვეყნების გადმოსახედიდან, საქართველოს ხელისუფლება „მძიმე ავტორიტარული ქვეყნების“ რიგში გადადის.

რა არის „მოსკოვის მექანიზმი“?

„მოსკოვის მექანიზმი" არის ეუთოს ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი ინსტრუმენტი ადამიანის უფლებების დასაცავად. იგი გამოიყენება უკიდურეს შემთხვევებში, როდესაც ქვეყანაში ადამიანის უფლებების მდგომარეობა საგანგაშოა. მექანიზმი 1991 წელს მიიღეს მოსკოვში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, როცა ადამიანის უფლებები ცენტრალურ საკითხად იქცა. იგი საშუალებას აძლევს OSCE-ის წევრ სახელმწიფოებს: მოითხოვონ ინფორმაცია სხვა წევრი ქვეყნისგან ადამიანის უფლებების სავარაუდო დარღვევების შესახებ და გააგზავნონ დამოუკიდებელი ექსპერტების მისია იმ ქვეყანაში, სადაც სავარაუდოდ ხდება დარღვევები. საქართველოს აქვს შესაძლებლობა, რომ ფაქტების დამდგენ მისიაში ერთი ექსპერტი აირჩიოს.

ექსპერტთა დასკვნები ქმნის ძლიერ საერთაშორისო ზეწოლას, აფიქსირებს ფაქტებს ოფიციალურად, საფუძვლად ედება სანქციებს, პერსონალურად ვიზების შეზღუდვას, პოლიტიკურ იზოლაციას.

როგორ მუშაობს ეს მექანიზმი?

მოსკოვის მექანიზმი საშუალებას აძლევს ეუთოს წევრ ქვეყნებს დანიშნონ დამოუკიდებელი ექსპერტები, რომლებიც იძიებენ ადამიანის უფლებების დარღვევებს. ეს შეიძლება გაკეთდეს იმ შემთხვევაშიც კი, თუ კონკრეტული ქვეყანა თანამშრომლობაზე უარს ამბობს.

1. **დამოუკიდებელი ექსპერტები:** იქმნება საგამოძიებო მისია.
2. **ფაქტების შეგროვება:** ექსპერტები სწავლობენ სამოქალაქო საზოგადოებაზე ზეწოლას, მედიის თავისუფლებას და არჩევნების ობიექტურობასა და სამართლიანობას.
3. **ანგარიში:** იწერება ობიექტური დოკუმენტი, რომელიც საერთაშორისო საზოგადოებას წარედგინება.
4. **რეკომენდაციები:** ქვეყანას ეძლევა კონკრეტული მითითებები კრიზისიდან გამოსასვლელად.

რატომ არის ეს მნიშვნელოვანი?

- **საერთაშორისო იზოლაცია:** ამ მექანიზმის ამოქმედება ნიშნავს, რომ საქართველო გადადის „მძიმე ავტორიტარული ქვეყნების" რიგში.
- **მკაცრი სიგნალი:** ეს არის ნიშანი, რომ შიდა მონიტორინგი აღარ მუშაობს და საჭიროა გადაუდებელი საერთაშორისო ჩარევა.
- **გავლენა მომავალზე:** ამ მისიის დასკვნები საფუძვლად დაედება სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების გადაწყვეტილებებს საქართველოსთან მიმართებაში.

რა საკითხებს შეისწავლიან საქართველოში?

- განსხვავებული აზრის ჩახშობა
- დამოუკიდებელი მედიის შეზღუდვა
- ოპოზიციური პარტიების აკრძალვის მცდელობები
- ძალადობა მშვიდობიან დემონსტრანტებზე

საქართველოსთვის ,,მოსკოვის მექანზმის" ამოქმედების ინიციატორი ქვეყნები არიან ალბანეთი, ავსტრია, ბელგია, ბოსნია-ჰერცეგოვინა, კანადა, ჩეხეთი, დანია, ესტონეთი, ფინეთი, გერმანია, ირლანდია, ისლანდია, ლატვია, ლიხტენშტაინი, ლიეტუვა, ლუქსემბურგი, მოლდოვა, მონტენეგრო, ნიდერლანდი, ნორვეგია, სლოვენია, უკრაინა, გაერთიანებული სამეფო და შვედეთი.

საერთო განცხადებაში ისინი მიუთითებენ, რომ „როგორც ეუთოს წევრ სახელმწიფოს, საქართველოს აღებული აქვს ვალდებულება, დაიცვას ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები".

მოსკოვის მექანიზმის მუშაობის პრეცედენტები:

- 1999 წელს „მოსკოვის მექანიზმი" გააქტიურა რუსეთის ფედერაციამ ნატოს სამხედრო ოპერაციის წინააღმდეგ ყოფილ იუგოსლავიაში;
- 2018 წელს 16-მა ქვეყანამ მოითხოვა რუსეთში, კერძოდ კი ჩეჩნეთში, ადამიანის უფლებათა დარღვევის შესახებ ვითარების გამოსა ძიებლად.

უკრაინა – 2014 (მაიდანი)

- მოსკოვის მექანიზმმა დააფიქსირა ძალის გადამეტება, გახდა ძალოვანი სტრუქტურების ლეგიტიმაციის ჩამოშლის საფუძველი.

ბელორუსი – 2020

- მოსკოვის მექანიზმი ამოქმედდა არჩევნებისა და სისტემური რეპრესიების დაფიქსირების შემდეგ

რუსეთი – 2022

- მექანიზმი გამოყენებულ იქნა რუსეთის მიმართ უკრაინაში ომის გამო.

ამ ქვეყნებმა უარი თქვეს რეკომენდაციების შესრულებასა და თანამშრომლობაზე, შესაბამისად, დოკუმენტაცია გამოიყენება სანქციებისა და საერთაშორისო სისხლის სამართლის დევნისთვის.

ვენის მექანიზმი

2024 წელს ეუთოს 38-მა წევრმა სახელმწიფომ აამოქმედა ვენის მექანიზმი საქართველოში ევროკავშირში გაწევრიანების პროცესის შეჩერების შემდეგ, ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით განვითარებული მოვლენების გამო და საქართველოს კონსტრუქციულ დიალოგში ჩართვისკენ მოუწოდეს.

ხაზი გაუსვეს, რომ „1991 წლის მოსკოვის დოკუმენტში ეუთოს მონაწილე სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ ადამიანური განზომილების სფეროში აღებული ვალდებულებები წარმოადგენს ყველა მონაწილე სახელმწიფოს პირდაპირ და ლეგიტიმურ წუხილს და არ განეკუთვნება ექსკლუზიურად დაინტერესებული სახელმწიფოს შიდა საქმეებს" და აღნიშნეს „საქართველოს არადამაკმაყოფილებელი პასუხი საერთაშორისო მოწოდებებზე, პატივი სცეს მშვიდობიანი შეკრების, გაერთიანებისა და გამოხატვის თავისუფლების უფლებას და გაათავისუფლოს თვითნებურად დაკავებული დემონსტრანტები", ეუთოს წევრები აცხადებდენ, რომ მათ მიიღეს გადაწყვეტილება, აამოქმედონ ვენის (ადამიანური განზომილების) მექანიზმი.

ვენის მექანიზმის ამოქმედებას ხელს აწერდნენ: ალბანეთი, ავსტრია, ბელგია, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ბულგარეთი, კანადა, ხორვატია, კვიპროსი, ჩეხეთი, დანია, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, ისლანდია, ირლანდია, იტალია, ლატვია, ლიხტენშტაინი, ლიეტუვა, ლუქსემბურგი, მონტენეგრო, ნიდერლანდები, ჩრდილოეთ მაკედონია, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, მოლდოვა, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ესპანეთი, შვედეთი, შვეიცარია, გაერთიანებული სამეფო, ამერიკის შეერთებული შტატები და უკრაინა.

ეს ქვეყნები ითხოვდნენ პასუხებს საქართველოში განვითარებულ მოვლებებზე. ვენის მექანიზმზე საქართველოს არასაკმარისმა პასუხმა გამოიწვია შემდგომი ნაბიჯი - 2026 წელს ეუთოს წევრმა 24-მა ქვეყანამ გააქტიურა უფრო ძლიერი, მოსკოვის მექანიზმი.

კანონი რჯულია ცხოვრებისა და ამიტომაც იგი სამართლისაგან ამოწვდილი ხმალიც არის ურჩთათვის და ფარიც არის საგერად და სახსნელად ჩაგრულთათვის. თუ ხმლობაში კანონს უსამართლოდ ჰხმარობს ვინმე, მაშინ ფარობამ კანონისამ თავი უნდა იჩინოს საგერად.

ილია ჭავჭავაძე

ჩანართი მომზადებულია ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი – პროგრესის სახლის მიერ
მისამართი: 3500, ქ. ოზურგეთი, 26 მაისის ქ. N11 ა
yscozurgeti@gmail.com